



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„15“-----“05“ 2015 წელი

ეგზ N2

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო პერიოდისთვის

ბუღალტრული ანგარიშგების

აუდიტის ანგარიში

0436/00

შინაარსი

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	6
ფორმა N1 - ბალანსი	9
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	10
ფორმა N2.1 - ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	11
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	12
ფორმა N4 - ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	13
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	14
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	15
1. ზოგადი ინფორმაცია	16
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	16
3. ადმინისტრაციის საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით	16

დასკვნა ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ (შემდეგში „ადმინისტრაცია“) ბუღალტრული ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის უტყუარად წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

საკასო აღრიცხვასთან დაკავშირებით

„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის¹ მიხედვით, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი, ხოლო ადმინისტრაცია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს როგორც დარიცხვის ასევე, საკასო მეთოდით.

დებიტორული დავალიანება

ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები 3,769 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული დებიტორული დავალიანების დადასტურება იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციამ ვერ მოიძია ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის გამო.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების კალკულაცია ხდება გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, ხოლო წლის ბოლოს ბალანსის შედგენის თარიღისთვის, დებიტორული დავალიანების ნაშთის გადაფასება არ ხდება 31 დეკემბრს არსებული ეროვნული ბანკის კურსით. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადმინისტრაციას უცხოურ ვალუტაში ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება 8,225 ლარის ექვივალენტის ოდენობით. აღნიშნული ნაშთი არ არის გადაფასებული წლის ბოლო თარიღისთვის და შესაბამისად სხვაობამ შეადგინა 543 ლარი.

კრედიტორული დავალიანება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 8,711 ლარის ღირებულების ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან. აღნიშნული თანხა წარმოადგენს ხანდაზმულ კრედიტორულ დავალიანებას და შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით კრედიტორული დავალიანებების ნაშთის სისწორეში.

არაფინანსური აქტივები

ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების აუდიტის დროს გამოვლინდა, აქტივები რომელთა ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე, სულ ასეთი აქტივების ღირებულება შეადგენს 6,886 ლარი.

ცვეთის ხარჯის გადათვლისას გამოვლინდა, რომ 288,288 ლარის ღირებულების აქტივებს 27,554 ლარის ცვეთა არ აქვთ დარიცხული.

გადასახადების შესახებ

ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი საგადასახადო ბარათებსა და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება სოციალური დაზღვევის ანარიცხები 9,384 ლარის ღირებულების, ხოლო საგადასახადო ბარათზე 16,023 ლარი, შესაბამისად საგადასახადო ბარათსა და ადმინისტრაციის ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული სხვაობა შეადგენს 6,638 ლარს. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია საგადასახადო ბარათზე ასახული 1996 წლიდან წარმოშობილი გადასახდებით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ადმინისტრაციის ბალანსზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი ერიცხება ჯამში 5,454 ლარი, ხოლო შემოსავლების სამსახურის ბარათზე 1,986 ლარი, შესაბამისად საგადასახადო ბარათსა და ადმინისტრაციის ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული სხვაობა შეადგენს 3,469 ლარს. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია საგადასახადო ბარათზე ასახული 1996 წლიდან წარმოშობილი გადასახდებით.

¹ მუხლი 9, პუნქტი 3

ადმინისტრაციამ დეკემბრის თვეში არასწორად დაარიცხა დღგ გადასარიცხ თანხას, ნაცვლად მიღება-ჩაბარების აქტში არსებული თანხისა, რამაც გამოიწვია 937 ლარით ნაკლები თანხის ასახვა ბუღალტრულ ჩანაწერებში და შესაბამისად დეკლარაციებში.

სარეკლამო ხარჯების შესახებ

2014 წელს 31 დეკემბრის მდგომარეობით გაწეული 4,093,562 ლარის ოდენობის რეკლამის ხარჯებიდან შპს „Berger & Severyuk Media Group GmbH“-თან, შპს „Inovations Sp z.o.o.“-თან და შპს „PLASKE SA“-თან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული სარეკლამო ხარჯებთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს 3,331,922 ლარს, ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სააგენტოს მიერ მიღებული მომსახურების სისრულეში.

პირობითი მოსაზრება ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ბუღალტრულ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს ადმინისტრაციის ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

აქტივების მართვა

2010 წელს 3,843 ლარის დაკარგული აქტივის ღირებულების ანაზღაურება ადმინისტრაციამ დააკისრა უშუალოდ იმ თანამშრომელს, რომელმაც დაკარგა ნივთი. თუმცა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დაფარული დებიტორული დავალიანება.

2009 წლის 28 ნოემბერს და 2013 წლის 9 დეკემბერს დაკარგული ლეპტოპის და პლანშეტური კომპიუტერის შესაბამისად 2,474 და 750 ლარის ზარალის ანაზღაურება ადმინისტრაციას არ დაუკისრებია არცერთი პასუხისმგებელი პირისათვის.

ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები

ადმინისტრაციაში არ არსებობს ხელმძღვანელის მიერ მარკეტინგული კამპანიის განხორციელების წესი, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა დასახული მიმართულებებისა და მიზნების მიღწევის შედეგები თითოეული მარკეტინგული ღონისძიების ფარგლებში.

ადმინისტრაციის მიერ მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში საერთაშორისო ბაზარზე გაწეულია 8,526,683 ლარის ხარჯები. აღნიშნული ხარჯებით მიღებული შედეგების შუალედურ ან/და საბოლოო შეფასებას ადმინისტრაცია არ ახორციელებს. ადმინისტრაციის მიერ ასევე არ ხდება ანალიზის გაკეთება თუ რა შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ მარკეტინგული ღონისძიების მოწყობას. კერძოდ, არ არის გამოკვლეული რამდენად მიზნობრივ დროს და რეიტინგულ გადაცემებში გადიოდა ესა თუ ის სარეკლამო რგოლი და შედეგად რამდენად იქნა ადმინისტრაციის მიერ დასახული მიზნები მიღწეული.

ადმინისტრაციას არ გააჩნია პროგრამების და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით 8,526,683 ლარის ოდენობის ხარჯის მიზნობრიობაში.

დანამატებისა და პრემიების შესახებ

2014 წლის განმავლობაში ადმინისტრაციაში დასაქმებული იყო შტატით გათვალისწინებული 71, ხოლო შტატგარეშე მომუშავე 132 თანამშრომელი. მათზე გაცემულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 2,330,371 ლარი და მათ შორის პრემიებისა და დანამატების მოცულობა შეადგენს 707,804 ლარს. გაცემული პრემიებისა და დანამატების დასაბუთების შესახებ ინფორმაცია ადმინისტრაციამ ვერ წამოადგინა.

ადმინისტრაციამ შტატიან თანამშრომლებზე 2014 წელს გასცა პრემიისა და დანამატის სახით სულ 672,219 ლარი. აქედან, ივლისამდე პრემიის, დანამატის და მატერიალური წახალისების სახით გაცემულია 319,855 ლარი, ხოლო ივლისის შემდგომ 352,364 ლარი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში თვეების მიხედვით წარმოდგენილია ინფორმაცია გაცემული პრემიების, დანამატების და მატერიალური წახალისებების შესახებ:

თვე	პრემია	დანამატი	მატერიალური წახალისება	სულ:
იანვარი	28,210	-	4,600	32,810
მარტი	44,970	-	7,805	52,775
აპრილი	50,500	-	-	50,500
მაისი	112,750	-	-	112,750
ივნისი	-	71,020	-	71,020
ივლისი	62,730	-	-	62,730
აგვისტო	899	84,170	-	85,069
სექტემბერი	-	73,870	-	73,870
ნოემბერი	18,560	-	-	18,560
დეკემბერი	-	112,135	-	112,135
სულ	318,619	341,195	12,405	672,219

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ივლისის კერძოდ, კი პრემიების წესის შესახებ მთავრობის №449 დადგენილების მიღების შემდეგ პრემია ჩაანაცვლა დანამატმა. დანამატების ისევე, როგორც პრემიების გაცემის საფუძვლიანი დასაბუთება ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა.

საწვავის ხარჯი

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის“ ბალანსზე ირიცხება სამი ავტომანქანა. აღნიშნულ ავტომანქანებზე ყოველთვიურად გაწეული საწვავის ხარჯი არ აღემატება ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებულ ლიმიტებს. თუმცა, საწვავის ხარჯის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საწვავის ათვისება ლიმიტებთან მიმართებაში შეადგენს 55%-ს, რაც მიუთითებს წინასწარ განსაზღვრული საწვავის ხარჯვის ლიმიტების არაგონივრულ და არარეალურ გაანგარიშებაზე.

ქვემოთ მოცემულია საწვავის ხარჯის ანალიზი ავტომანქანების მიხედვით (ლიტრებში):

მანქანის დასახელება	წლიური ლიმიტი	ათვისებული	აუთვისებული	აუთვისებული %
TOYOTA SEQUOIA-UOU 285	7,420	5,229	2,191	30%
SUZUKI SX4-TPT 064	4,840	1,915	2,925	60%
MITSUBISHI OUTLANDER-HJH 488	5,340	2,544	2,796	52%
სულ	17,600	9,688	7,912	45%

ტურისტების ზრდის/კლების სტატისტიკა

2014 წლის ადმინისტრაციის ფაქტობრივი ხარჯები 2013 წელთან შედარებით გაიზარდა 6,905,316 ლარით რაც შეადგენს 125%-იან ზრდას, ხოლო ტურისტების რაოდენობის ზრდის ტემპი იგივე პერიოდში შემცირდა 15%-იდან 8%-მდე, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2012	2013	2014	ცვლილება 2013-2012	ცვლილება 2014-2013
ტურისტთა რაოდენობა ²	1,789,592	2,065,296	2,229,094	15%	8%
ათვისებული ასიგნებები	7,377,162	5,524,445	12,429,761	-25%	125%

განხორციელებული შესყიდვები

ადმინისტრაციის 2014 წელთან დაკავშირებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მოცემული ქვემოთ ცხრილის სახით:

შესყიდვის სტატუსი/სახეობა	რაოდენობა	ღირებულება
ელექტრონული ტენდერები	64	3,516,136
უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერები	3	227,870
შეწყვეტილი ტენდერები	4	1,609,780
არ შემგდარი ტენდერები	15	171,669
გამარტივებული შესყიდვები	630	2,938,971

- 2014 წლის 24 იანვარს სსიპ „ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ“ გამოაცხადა ტენდერი (SPA140002366) აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სარეკლამო კამპანიის ორგანიზების შესყიდვასთან დაკავშირებით. ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 658,600 ლარით. გამოცხადებული ტენდერი გულისხმობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სარეკლამო კამპანიის განხორციელებას, კერძოდ ტენდერში გამარჯვებულ

² იმ ტურისტების რაოდენობა, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება 24 საათი და მეტი საათის განმავლობაში

ორგანიზაციას უნდა განეხორციელებინა ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებები და აღნიშნული მიმართულებებში უნდა ჰქონოდათ გამოცდილება:

- გარე რეკლამა ბილბორდებზე;
- გარე რეკლამა LED მონიტორებზე;
- რეკლამა სოციალური ქსელით;
- რეკლამა ვებ-გვერდებით;
- რეკლამა ბაჟოს მეტროპოლიტენში.

სატენდერო კომისიამ, გამარჯვებულად სცნო შპს „Shvangirdze&partners“ და გაუფორმა 450,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება, თუმცა წარმოდგენილი მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო მოთხოვნებს ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. კერძოდ, კომპანიას არ ჰქონდა გამოცდილება:

- გარე რეკლამა ბილბორდებზე;
- გარე რეკლამა LED მონიტორებზე;
- რეკლამა სოციალური ქსელით;
- რეკლამა მეტროპოლიტენში

- სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას“ 2014 წელს შესყიდული აქვს 5 ერთეული სხვადასხვა სახის სარეკლამო ფილმი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 406,295 ლარს. აღნიშნულ შესყიდვებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი კლიპების ხარჯთაღრიცხვები და გაანგარიშების საფუძვლები.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ნათია გამყრელიძე
(უფროსი აუდიტორი)

ტატო გულიაშვილი
(აუდიტორ ასისტენტი)

მირიან შარიქაძე
(აუდიტორ ასისტენტი)

	2014	2013
აქტივები		
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	96	106
მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	8,225	26,914
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	68,589	68,589
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	38,254	38,253
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	3,769	3,769
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები	118,933	137,631
არაფინანსური აქტივები		
არასაცხოვრებელი შენობები	1,230,060	1,251,094
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	421,664	303,840
სხვა ძირითადი აქტივები	2,213,144	2,233,724
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	273,483	184,987
სხვა მატერიალური მარაგები	512,363	482,590
სულ არაფინანსური აქტივები	4,650,714	4,456,235
სულ აქტივები	4,769,647	4,593,866
ვალდებულებები და კაპიტალი		
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	8,711	8,711
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	5,454	5,454
სხვა გადასახდელები	9,393	9,393
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	528	528
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	15	15
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	318	318
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	24,419	24,419
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	4,745,132	4,569,341
დაუფარავი ზარალი	(12)	(2)
გაუნაწილებელი მოგება	108	108
სულ კაპიტალი	4,745,228	4,569,447
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4,769,647	4,593,866

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	11,398,000	12,035,600	11,813,438	11,813,438	11,813,438	12,247,617	434,179
შრომის ანაზღაურება	1,518,000	1,513,000	1,512,887	1,512,887	1,512,887	1,512,887	-
თანამდებობრივი სარგო	-	-	932,173	932,173	932,173	932,173	-
პრემია	-	-	187,139	187,139	187,139	187,139	-
დანამატი	-	-	393,575	393,575	393,575	393,575	-
საქონელი და მომსახურება	9,855,000	10,485,620	10,264,920	10,264,920	10,264,920	10,165,339	(99,581)
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	817,484	817,484	817,484	817,484	-
მივლინებები	-	-	281,457	281,457	281,457	281,457	-
ოფისის ხარჯები	-	-	381,417	381,417	381,417	261,829	(119,588)
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	854,960	854,960	854,960	847,118	(7,842)
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	3,066	3,066	3,066	1,506	(1,560)
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	45,947	45,947	45,947	47,046	1,099
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	7,880,589	7,880,589	7,880,589	7,908,899	28,310
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	533,760	533,760	533,760	533,760	-
სოციალური უზრუნველყოფა	19,000	32,000	30,693	30,693	30,693	30,693	-
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	30,693	30,693	30,693	30,693	-
სხვა ხარჯები	6,000	4,980	4,938	4,938	4,938	4,938	-
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	-	-	4,938	4,938	4,938	4,938	-
სულ ხარჯები:	-	-	12,347,198	12,347,198	12,347,198	12,247,617	-

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	1,255,000	717,400	616,323	616,323	616,323
ძირითადი აქტივები	1,255,000	717,400	616,323	616,323	616,323
შენობა-ნაგებობები			55	55	55
არასაცხოვრებელი შენობები			55	55	55
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			206,973	206,973	206,973
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			206,973	206,973	206,973
სხვა ძირითადი აქტივები			409,295	409,295	409,295
სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები			409,295	409,295	409,295
სულ არაფინანსური აქტივები			616,323	616,323	616,323

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2013	4,569,341
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(1,512,887)
საქონელი და მომსახურება	(10,165,339)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	
მ.შ ფიზიკური ცვეთა	(533,760)
სოციალური უზრუნველყოფა	(30,693)
სხვა ხარჯები	(4,938)
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
არაფინანსური აქტივები	(6,353)
სულ სადებეტო ბრუნვა	(12,253,970)
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	12,429,761
სულ საკრედიტო ბრუნვა	12,429,761
წმინდა ღირებულების ცვლილება	175,791
წმინდა ღირებულება 31/12/2014	4,745,132

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ფორმა N4 - ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 31/12/2013	106	106
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
საქონელი და მომსახურება	(10)	(10)
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:	(10)	(10)
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2010	96	96

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება				გასვლა			
	ნაშთი წლის დასაწყის ისათვის	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	*სხვა მიღებე ბი	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურ ებით	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის(პერი ოდისთვის) ბოლოს
მატერიალური მარაგები	482,590	298,732	-	-	-	268,959	-	51,236
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-	-	-	-	-
სხვა მატერიალური მარაგები	482,590	298,732	-	-	-	268,959	-	51,236
ფულადი დოკუმენტები	1,845	28,533	-	-	-	29,560	-	818
სათადარიგო ნაწილები	3,124	-	-	-	-	10	-	3,114
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	477,621	270,199	-	-	-	239,389	-	508,431
ძირითადი აქტივები	3,788,658	616,323	609	6,353	533,760	-	609	3,864,868
შენობა-ნაგებობები	1,251,094	55	-	-	21,089	-	-	1,230,060
არასაცხოვრებელი შენობები	1,251,094	55	-	-	21,089	-	-	1,230,060
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	303,840	206,973	-	6,353	82,187	-	609	421,664
სატრანსპორტო საშუალებები	46,887	-	-	-	7,562	-	-	39,325
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	256,953	206,973	-	6,353	74,625	-	609	382,339
სხვა ძირითადი აქტივები	2,233,724	409,295	609	-	430,484	-	-	2,213,144
არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,233,724	409,295	609	-	430,484	-	-	2,213,114
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	184,987	88,700	-	-	-	204	-	273,483

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	3	46,887	45,947	14,764	28,011	3,172	47,046	14,817	28,620	3,609
მათ შორის:										
მსუბუქი	1	14,257	12,513	6,797	4,202	1,514	12,536	6,850	4,603	1,083
ჯიპები და პიკაპები	2	32,630	33,434	7,967	23,809	1,658	34,510	7,967	24,017	2,526

1. ზოგადი ინფორმაცია

2012 წლის 17 იანვრის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო და შეიქმნა სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“ (შემდგომში ადმინისტრაცია). ადმინისტრაცია არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზნები და ამოცანებია საქართველოს ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, ასევე საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შიდა ტურიზმის განვითარება, ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

ადმინისტრაციის სისტემა შედგება ცენტრალური აპარატისა და 21 ტერიტორიული ორგანოებისაგან (საინფორმაციო ცენტრებისგან). ცენტრალური აპარატი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

3. ადმინისტრაციის საქმიანობის მიმოხილვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია ადმინისტრაციის სტრუქტურა და ამ სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები. ადმინისტრაციის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ადმინისტრაციული სამმართველო;
- საფინანსო განყოფილება;
- ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება;
- სამეურნეო და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო;
- შიდა ტურიზმის სტიმულირების სამმართველო;
- ბრენდის განვითარების სამმართველო;
- საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამმართველო;
- უკუკავშირის, ანალიზისა და რეაგირების სამმართველო;
- საინფორმაციო მომსახურების სამმართველო;
- მობილური მომსახურების სამმართველო;
- ტურიზმის სფეროში მომსახურების მიმწოდებელთან ურთიერთობების სამმართველო;
- ხარისხის განვითარების სამმართველო;
- ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველო.